სამართალი მიყავ

სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო,
მთელი საქართველოს გულისა ხარო!
ზოგი მეუბნება: შენ მაჩა ხარო...
ზოგიც უმატებს: მყრალი ჭა ხარო1
შეგიძლიან გამიწყრე თუ მახარო!

არ მყავს მეუღლე, არცა მძახალი,
მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი!
მეჯლისს ზმა მოუნდა ახალახალი...
ვის წინაც გავცარე გულის ხახალი,
ყველამ მითხრა: ურგებელი მთა ხარო!

ხელმწიფეს ვეახელ უცხოდ მორთული,
საზი ხელთ მეჭირა მე გამართული
მათასავით დამაბრუნეს დართულ!
ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული! -
წადი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!.

ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა,
ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა1
შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა...
ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა, -
ჩემი სულიერი დედმამა ხარო!

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები, -
ცოცხალი თავით ვერ მოგშორდები!
თუ მტკვარი ვერ მომსპობს - ზღვას ჩავარდები...
ენით მოიმატე შენი დარდები -
საიათნოვავ, ნაღველისთვინ მზა ხარო!